გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ მუმლაძის

2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 102 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის წევრი. დავესწარი ფრაქციის 1 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 17 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, დავესწარი 4 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 16 საკითხის განხილვაში. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 3 სახდომას და მონაწილეობა მივიღე 4 საკითხის განხილვაში.

მოგახსენებთ, რომ ჩემს მაჟორიტარულ ოლქში შედის გორის მუნიციპალიტეტის 9 სოფელი, სადაც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსახლეობასთან შეხვედრები სოფლების მიხედვით.

შეხვედრებზე ძირითადად განიხილება სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვა საჭირბოროტო საკითხები, რომლის მოგვარებასაც ითხოვს მოსახლეობა.

- შევხვდი სოფელ ქიწნისის მოსახლეობას, რომელთა პრობლემაა სოფელში მისასვლელი გზის მოწესრიგება.
- შევხვდი სოფელ ძევერის მოსახლეობას, მათი პრობლემაა სოფლის დასახლებამდე მისასვლელი გზის მწვანე საფარის გაჩეხვა.
- შევხვდი სოფელ ქიწნისის მოსახლეობას, რომელთა პრობლემაა სოფელში მისასვლელი გზის მოწესრიგება.
- შევხვდი სოფელ სათემოს მოსახლეობას, მათი პრობლემაც სოფელში მისასვლელი გზის მოწესრიგებაა.
- სოფელ ფლავისმანში შედგა შეხვედრა ამომრჩეველთან, სადაც მოსახლეობამ მოითხოვა საუბნო გზების მოწესრიგება და სავარგულებთან მისასვლელი გზების მოშანდაკება.
- შევხვდი სოფელ ძევერის მოსახლეობას, რომელიც ითხოვს მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტებას.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო 2025 წლის ბიუჯეტში.

მიმდინარე წელს განხორციელდა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტი და ამჟამადაც სხვადასხვა პროექტი ხორციელდება, რომელიც დაფინანსებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის იოსებ მუმლაძის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. ძევერა **2024 წლის 31 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: იოსებ მუმლაძე;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ძევერის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის იოსებ მუმლაძის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი იოსებ მუმლაძე და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს იოსებ მუმლაძეს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 1

ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ბაზანდარაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: სერგო მარიამიძემ და იოსებ გოხელაშვილმა

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: **ბექა ლობჟანიძე;**

საკრებულოს წევრი: **იოსებ მუმლაძე.**